‘’კეთილდღეობა სამსახურში’’ - თანამშრომელთა პროდუქტიულობის რეალური ბერკეტი

კურბანალი ნასიბოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანნა თანდილაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კურბანალი ნასიბოვი

თარიღი: 04.07.2022

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი, სახელწოდებით - ''კეთილდღეობა სამსახურში'' - თანამშრომელთა პროდუქტიულობის რეალური ბერკეტი მოიცავს როგორც

თეორიული, ასევე პრაქტიკული საკითხების კვლევას. უპირველეს ყოვლისა, შესწავლილია თეორიული საკითხები, ლიტერატურული მიმოხილვის პარალელურად, აქცენტი კეთდება მოტივაციის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებზე, ასევე მათ ასახვაზე პრაქტიკაში. თეორიული ანალიზის საშუალებით ვადგენთ თუ როგორ ვითარდებოდა თანამშრომელთა მოტივაციისადმი მიდგომები ისტორიულ ჭრილში. ამავდროულად, შევისწავლით თანამშრომელთა კეთილდღეობის საკითხებს, რაც წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ ძირითად საგანს. კვლევითი ნაწილი მოიცავს ორი სახის კვლევას: პირველ მათგანში წარმდგენილია ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან, მეორე ნაწილი კი გულისხმობს რაოდენობრივ კვლევას.

შედეგების ინტერპრეტაცია: თვისობრივი კვლევის ფარგლებში ვლინდება, რომ დამსაქმებლებს კარგად აქვთ გააზრებული საქართველოში არსებული პირობები და მათი ზეგავლენა სამუშაო გარემოსა თუ თანამშრომელთა ბედნიერებაზე. რაოდენობრივი კვლევის მიხედვით კი ვადგენთ, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასება, კეთილდღეობის კრიტერიუმებთან მიმართებაში, მხოლოდ ჯანმრთელობის საკითხებში აფიქსირებს დადებით ნიშნულს, ხოლო ბედნიერებისა და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით, შედარებით დაბალია მაჩვენებლები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილია ადგილობრივ კომპანიებში თანამშრომელთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, დამსაქმებლისა და დასაქმებულთა პოზიციიდან, რომლის ფარგლებშიც იკვეთება მთავარი მოტივატორები - ანაზღაურებისა და კარიერული წინსვლის სახით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანური რესურსები, მოტივაციის თეორიები, სტრატეგიული მენეჯმენტი, კეთილდღეობა სამსახურში.

Abstract

The master's thesis, entitled "Welfare at Work" - the real lever of employee productivity includes the study of both theoretical and practical issues. First of all, theoretical issues are

studied, in parallel with the literary review, emphasis is placed on classical and modern theories of motivation, as well as their reflection in practice. Through theoretical analysis, we determine how approaches to employee motivation have evolved in a historical context. At the same time, we will explore the issues of employee well-being, which is one of the main subjects of master thesis research. The research part includes two types of research: the first part presents interviews with experts in the field, and the second part involves quantitative research.

Interpretation of results: Qualitative research reveals that employers have a good understanding of the conditions in Georgia and their impact on the work environment or employee happiness. Quantitative research shows that the evaluation of local organizations in terms of welfare criteria only shows a positive mark in terms of health, while the indicators of happiness and social well-being are relatively low.

In conclusion, the research reveals the current problems of employee well-being in local companies, from the position of the employer and employees, in which the main motivators are identified - in the form of turnovers and career advancement.

Keywords: human resources, motivation theories, strategic management, job well-being.

ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი

სქემა 1. მოთხოვნილება-რესურსების მოდელი.....27
დიაგრამა 1. რესპოდენტთა დაჯგუფება სქესის მიხედვით.....39